პირველადი ჯანდაცვის განვითარების ზოგადი მიმოხილვა

1997-2010 წლები

საქართველოში 1997-99 წლებში წარმატებით განხორციელებული დიდი ბრიტანეთის „ნოუ-ჰაუ ფონდის“ ჯანმრთელობის დაცვის პროექტის „საქართველოში ზოგადი პრაქტიკის (ოჯახის) ექიმთა გადამზადების პროგრამის შემუშავება“ - დასრულების შემდეგ, დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით 2000 წლის ოქტომბრიდან, დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმისა და მინისტრის 05.03.2001 წლის #95/ო ბრძანების საფუძველზე, დაიწყო მეორე პროექტი - “საქართველოში პირველადი ჯანდაცვის განვითარება“, რომლის მიზანიც იყო საქართველოში ოჯახის ექიმის ინსტიტუტზე დაფუძნებული პირველადი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება, რასაც აქტიურად მოყვა, პირველადი ჯანდაცვის განვითარების მხარდამჭერი, სხვადასხვა საერთაშორისო/დონორული თუ სახელმწიფო პროექტები.

სწორედ ამ მიზნით, 1996 წლიდან 2010 წლამდე განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. 1997 წელს საქართველოში, კონკურსის წესით შეირჩა პირველი 8 ოჯახის ექიმის/მასწავლებელი, რომელთა მომზადება განხორციელდა ბრიტანეთსა და საქართველოში, ბრიტანელი ექსპერტების/ტრენერების მიერ. მათ, ასევე, გაიარეს 1998 - კემბრიჯის კოლეჯი - ,,ნიუჰოლი - ბაზისური კურსი ოჯახის ექიმთა მას-წლებლებისათვის და ჩააბარეს სასერთიფიკაციო გამოცდა სპეციალობაში „საოჯახო მედიცინა“

   მათ გაიარეს სხვადასხვა სწავლებები:
   - ამერიკის ჯანმრთელობის საერთაშორისო ალიანსი და ჯანდაცვის ადმინისტრირების საუნივერსიტეტო პროგრამების ასოციაცია შემდეგი კურსები: ,,ჯანდაცვის მენეჯმენტი“ - 1997; ფინანსების მენეჯმენტი" - 1996; ,,ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება" - 1997; ,,ჯანდაცვის მართვა და მარკეტინგი“ - 1997
   - 1997 - ლონდონის მეცნიერების, ტექნოლოგიისა და მედიცინის იმპერიალ კოლეჯი, კურსი "მეცნიერულ ფაქტებზე დამყარებული მედიცინა და ჯანდაცვის ეკონომიკა"’ The Public Administration Collage of TACIS, ,,საინფორმაციო სისტემები”’, ,,ფინანსების მართვა”, ,,საბაზრო ეკონომიკა”, ,,ზოგადი მენეჯმენტი”) - 1997; SIDA სასწავლო პროგრამა პირველადი ჯანდაცვის მენეჯერებისათვის, შვეცია - 1999ლ
   - 1999 - კლინიკური პრაქტიკა ლონდონის საოჯახო მედიცინის ცენტრში (გაერთიანებული სამეფო)
   - 2000 - კლინიკური პრაქტიკა მალმოს საოჯახო მედიცინის ცენტრში (შვეცია)

- და ასევე, სხვადასხვა, ბრიტანეთში აკრედიტებული უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამები ოჯახის ექიმთათვის და ჯანდაცვის ორგანიზატორებისათვის.

2. ასეთივე სერიოზული გადამზადება განხორციელდა გუნდის სხვა წევრების - ზოგადი პრაქტიკის ექთან-მასწავლებლებისა და მენეჯერ-მასწავლებლების რესურსების გაძლიერების თვალსაზრისით:
   - ბრიტანელი ექსპერტების/ტრენერების მიერ მომზადდა პირველი ექთან-მასწავლებლები და მენეჯერ-მასწავლებლები როგორც ბრიტანეთში, ასევე, საქართველოში. მათ, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი რესურსი შექმნეს სრულიად საქართველოს მასშტაბით.
   - DFID პროექტი წარმატებით ჩაერთო USAID-ის დაფინანსებულ AIHA პროექტში განხორციელებულ პროგრამებში, პროექტის მიერ შერჩეული ექთან-ტრენერებისა და მენეჯერ-ტრენერების გაძლიერებული ტრეინინგის მიზნით და გადამზადება გაიარეს - სკრანტონის უნივერსიტეტისა და მილუოკის საერთაშორისო ცენტრის მიერ (Scranton University for Health Management & The Milwaukee International Health Training Center for PHC Training).
   - DFID პროექტის მიერ გადამზადებული ექთან-ტრენერები და მენეჯმენტის ტრენერები მონაწილეობდნენ სკრანტონისა და მილუოკის საერთაშორისო ჯანდაცვის ტრენინგის ცენტრის მიერ განხორციელებულ ტრენინგ პროგრამებში, როგორც ტრენერები.
3. საქართველოს სამედიცინო სპეციალობების ნუსხას დაემატა ზოგადი პრაქტიკის/ოჯახის ექიმი
4. საოჯახო მედიცინაში გადამზადების რეზიდენტურის კურსის შექმნა
5. ოჯახის ექიმთა სერტიფიცირებისათვის შეფასების ინსტრუმენტების მომზადება
6. მრავალარჩევანიანი კითხვარების შემუშავება ოჯახის/ზოგადი პრაქტიკის ექიმების სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის პირველად განხორციელდა 1999წელს, რომლის გადახედვა-განახლება რეგულარულად ხდებოდა.
7. საოჯახო მედიცინაში გადამზადების პროგრამების გადახედვა, წარდგენა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2002 წლის აპრილში მათი დამტკიცება
8. ოჯახის ექიმთა, ზოგადი პრაქტიკის ექთანთა პრაქტიკის მენეჯერთა დროებითი დებულებების შექმნა, წარდგენა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მათი დამტკიცება
9. სასწავლო მასალების შექმნა ოჯახის ექიმთათვის, მენეჯერთათვის და ზოგადსაექიმო პრაქტიკის ექთანთათვის
10. საოჯახო მედიცინაში პირველი სახელმძღვანელოს (დამტკიცებული განათლების სამინისტროს მიერ) გამოშვება ჯანდაცვის მართვის ეროვნული ცენტრის

მხარდაჭერით (NHMC - სახელმძღვანელო „საოჯახო მედიცინა“ 2001 - დამტკიცებულია განათლების სამინისტროს მიერ

11. დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის (DFID) და საქართველოს ერთობლივი პროექტის „საქართველოს პირველადი ჯანდაცვის განვითარება“ ფარგლებში მომზადდა საოჯახო მედიცინის პილოტირების პროცესის დაწყების მიზნით, სამართლებრივი საფუძვლები - დროებითი დებულებების სახით
12. ადამიანური რესურსების შესაძლებლობები ახალი მოდელთან სრულ შესაბამისობაშია - პირველ წლებში გადამზადდა ახალი 36 ოჯახის ექიმი-მასწავლებელი მ.შ. 12 მცხეთ-მთიანეთის, აჭარის, იმერეთის და შიდა ქართლის რეგიონებიდან; 16 ექთან-მასწავლებელი, საოჯახო მედიცინაში გადამზადდა და ლიცენზია მიიღო 36 ოჯახის ექიმმა (სულ 2 პროექტის ფარგლებში გადამზადებული და ლიცენზირებულია 94 ოჯახის ექიმი) და 24 ზოგადი პრატიკის ექთანი. 34 ოჯახის ექიმი თბილისის 3 დაწესებულებიდან, 32 ოჯახის ექიმი აჭარიდან, იმერეთიდან, შიდა ქართლიდან; ასევე, გადამზადდა 10 ზოგადი პრაქტიკის მენეჯერი; 120 ექიმმა გაირა მოკლევადიანი მოდულები და 19 ოჯახის ექიმი მასტერ ტრენერების მიერ მომზადდა მცხეთა-მილვუოკის პარტნიორული პროგრამის ფარგლებში და ა.შ. რომელიც მომდევნო წლებში, კიდევ მეტად გაძლიერდა/გაფართოვდა.
13. შემუშავდა და დაინერგა მედიკამენტების ანაზღაურების სქემები (DFID, WHO, USAID /coReform, HSSP, USAID - EC და ა.შ. დაფინანსებული პროექტების ფარგლებში
14. ჩამოყალიბდა საინფორმაციო მართვის სამუშაო ჯგუფი.
15. DFID-ის პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო ფონდი „კურაციოს“ მიერ შემუშავდა სოციალური მარკეტინგის სტრატეგია და დაიწყო მისი დანერგვა.
16. 2002 წლის აპრილიდან თბილისში ფუნქციონირება დაიწყო საოჯახო მედიცინის 5-მა ცენტრმა, რომლის გახსნის საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო გაერთიანებული სამეფოს ელჩმა საქართველოში, ლონდონის მერმა, საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, DFID წარმომადგენლობამ საქართველოში, თბილისის მერიის, მუნიციპალური ჯანდაცვის სამსახურის და სხვა ოფიციალურმა პირებმა.
17. ამუშავდა დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც გაფართოვდა და დაინერგა თბილისის სხვა დაწესებულებებშიც. მათთვის შეიქმნა განსხვავებული მუნიციპალური პროგრამა სადაც გათვალისწინებული იყო სამოტივაციო და ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები - DFID - ,,პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი“ (2000-2005), თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურთან 02.09.2002 წ. გაფორმებული ხელშეკრულება №9.02/01 პირველადი ჯანდაცვის გაიდლაინებისა და პროტოკოლების შემუშავების მიზნით და რომლის საფუძველზეც შეიქმნა 10 გაიდლაინი და 100 პროტოკოლი და რომლის დანერგვა დაიწყო ახლადგახსნილმა საოჯახო მედიცინის ცენტრებმა.

პროექტის ძირითადი სამუშაოებს მიეკუთვნებოდა, ასევე, საოჯახო მედიცინაში გავრცელებული პრობლემების მართვის მიზნით, შემდეგი კლინიკური რეკომენდაციების და სტანდარტების შემუშავება და პილოტირება:

- ონკოლოგიური პაციენტების პალიატიური მეთვალყურეობა ზოგად საექიმო პრაქტიკაში
- ზოგად საექიმო პრაქტიკაში ხანდაზმულთა (75 წლის ზემოთ ასაკის პირთა) რეგულარული სამედიცინო მეთვალყურეობის გაიდლაინი
- ხანდაზმულ პაციენტებში საშარდე ტრაქტის ინფექციების მართვის გაიდლაინი
- ხანდაზმულებში ჰიპერტენზიის მართვა
- ხანდაზმულებში მენთალური პრობლემების იდენტიფიცირებისა და მართვის გაიდლაინი
- ზოგად საექიმო პრაქტიკაში ხანდაზმულებში სენსორული დისფუნქციის იდენტიფიცირებისა და მართვის გაიდლაინი
- ხანდაზმულებში შარდის შეუკავებლობის შეფასება და მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში
- ხანდაზმულებში განავლის შეუკავებლობის შეფასება და მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში
- ხანდაზმულებში ბინის პირობებში განვითარებული პნევმონიის მართვის გაიდლაინი
- შაქრიანი დიაბეტით დაავადებული პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მეთვალყურეობა
- ესენციური ჰიპერტენზიით დაავადებული პაციენტების მდგომარეობაზე მეთვალყურეობა
- ჯანმრთელი პირებისა და ახალი პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება
- ბრონქული ასთმის მართვა

18. 2003-2005 წლებში განხორციელდა ლოკალური გაიდლაინებისა და პროტოკოლების შემუშავება და დანერგვა, საინფორმაციო ფორმების შემუშავება, აუდიტების ჩატარება მომსახურების ხარისხის შეფასების მიზნით - საქართველოს საოჯახო მედიცინის ასოციაციის ხელმძღვანელობით, საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის ბაზაზე.
19. DFID -ის პროექტი (2006-2008) - ოქსფორდის პოლიტიკის მართვის (OPM) ჯგუფი (არასამთავრობო ორგანიზაცია “Welfare Foundation”-თან კონტრაქტის საფუძველზე)

- ტექნიკური ექპერტიზის ჩატარება სხვადასხვა ასოციაციების მიერ შემუშავებულ გაიდლაინებსა და პროტოკოლებზე - საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, მუდმივად ხორციელდებოდა სხვადასხვა ასოციაციების მიერ შემუშავებული გაიდლაინების შემუშავება და ექსპერტიზა (ოჯახის დაგეგმვა, არითმიები, დიალიზი, ფრინველის გრიპი, ჰემატოლოგია, კარდიოლოგია, ნეფროლოგია, ოფთალმოლოგია, უროლოგია, ეპილეფსია, ლიმფომები, შიდსი, ინფექციური დაავადებები, და სხვ.) და ექსპერტიზის მიზნით უახლესი, მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მოძიება, გაიდლაინებისა და პროტოკოლების მიმოხილვა და რეცენზიების მომზადება, რამაც ხელი შეუწყო ადამიანური რესურსების და ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობების გაძლიერებას.

20. რეგულარულად ფასდებოდა პჯდ გუნდის წევრების სასწავლო საჭიროებები და ხორციელდებოდა მათი მზადება და უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამებში მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფა.
21. დაინერგა მულტიდისციპლინური ტრენინგები
22. EU Tacis პროექტის "Support to primary Health Care Development in Georgia: Reform of the Health Care Financing System" ფარგლებში (განმახორციელებელი კომპანიების GVG & EPOS კონსორციუმი), კახეთის რეგიონისთვის 2002 წელს შემუშავებული იქნა გენერალური გეგმა, რომელიც განხორციელდა პირველადი ჯანდაცვის საბჭოს წინასწარი გადაწყვეტილებებით, პჯდ პროექტების განმახორციელებელი საერთაშორისო ორგანიზაციებთან - DFID/OPM, USAID/CoReform და WB, მჭიდრო ურთიერთ თანამშრომლობითა და მათ მიერ განხორციელებული პროექტების მიღწევების/ შედეგების საფუძველზე.
23. 2004-2006წლებში განხორციელდა EC დაფინანსებული პროექტი:
    - "Developing PHC financing system in Georgia", რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ძირითადი ფინანსური გეგმა, რომლის ძირითადი ამოცანა იყო პირველადი ჯანდაცვის სისტემის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა, რაც გულისხმობს პჯდ სერვისების სტაბილურ დაფინანსებას და ფოკუსირებულია აღნიშნული ხარისხიანი მომსახურების ხელმისაწვდომობაზე. აღნიშნული კახეთის რეგიონში პილოტის შემდეგ, მოდელი ინტეგრირებული იქნება ჯანდაცვის ეროვნული სისტემის დაფინანსების ძირითად გეგმაში. ევროკავშირის პროექტის მიერ, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ, პირველი წლის განმავლობაში შემუშავდა პჯდ სისტემის ძირითადი ფინანსური და ადმინისტრაციული მექანიზმების კონცეპტუალური ჩარჩოები. ძირითადი ფინანსური გეგმის მთავარ დოკუმენტში მოცემულია საოჯახო მედიცინის განვითარების სხვადასხვა ვარიანტები და თითოეული ამ ვარიანტის ფინანსური გაანგარიშებები.

- 2005-2006წლებში - EC დაფინანსებული Project “Developing PHC drug reimbursement schemes) system in Georgia”, EPOS, რომლის ფარგლებშიც ესენციური მედიკამენტების ჩამონათვალი, სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი პოზიტიური და ნეგატიური მედიკამენტების სია, ჩამოყალიბდა მედიკამენტებით სარგებლობის და მიწოდების სქემების სხვადასხვა ვარიანტები, რისკ/სარგებლის გათვალისწინებით, სადაც განხილული იყო ასევე, სხვა ქვეყნების გამოცდილება და შესაძლებლობები საქართველოს არსებულ რეალობასთან მიმართებაში.

24. 2006-2007წლებში - EU TASIS პროექტის ფარგლებში განხორციელდა პროექტი „Support to Primary Health Care Reform: Retraining of Medical Workforce in Kakheti Region, Georgia“ საოჯახო მედიცინაში გადამზადების შესაძლებლობების გაძლიერება - ოჯახის ექიმთა და ზოგადი პრაქტიკის ექთან მასწავლებლების ქმედითუნარიანობის გაძლიერება, მასწავლებლების საჭიროებების შეფასება, რეგულარული სასწავლო შეხვედრების ორგანიზება, მასწავლებლების საქმიანობის შეფასება (ევალუაცია) და სხვ.
25. 2006-2007წლებში - EU TASIS პროექტის (განმახორციელებელი HLSP Limited, 27 Old Street, London EC 1V9HL, UK) ფარგლებში, ასევე, განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები:
    - EC Support to Primary Health Care Reform - საოჯახო მედიცინაში გადამზადებული პერსონალის საქმიანობის შეფასება და კლინიკური ევალუაცია კახეთის რეგიონში
    - საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის ვებ-გვერდის მომზადება - ვებგვერდის დიზაინი, მასალების განთავსება და პერიოდული განახლება
    - საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის პერიოდული პუბლიკაციის მომზადება; სარედაქციო საბჭოს ჩამოყალიბება, მასალების მოძიება, 3 პუბლიკაციისთვის 15 სტატიის მომზადება
    - საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის პერიოდული პუბლიკაციის დაბეჭდვა და გავრცელება
    - საოჯახო მედიცინის პროფესიონალებისთვის კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) შემუშავება - ოჯახის ექიმებისთვის 20 კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციების, პროტოკოლების, პაციენტის საგანმანათლებლო მასალებისა და სასწავლო მოდულების შემუშავება.
26. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის დაფინანსებით „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშემწყობი პროექტის“ ფარგლებში 2008 წელს განხორციელდა საოჯახო მედიცინაში მზადების საჭიროებების შეფასების მიზნით საკონსულტაციო მომსახურება - ოჯახის ექიმთა მასწავლებლების საჭიროებების შეფასების კვლევა

ასევე, 2008-2010 წლებში - ოჯახის ექიმებისა და ექთნების პრაქტიკული საქმიანობის შეფასება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში - შეფასების მეთოდოლოგიის მომზადება, შემფასებლების მომზადება, შეფასების განხორციელება, ანგარიშის მომზადება.

27. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს **დავალების ფარგლებში** 2008 – 2010 **განხორციელდა** ინტელექტუალური მომსახურება პირველადი ჯანდაცვის კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინებისა და პროტოკოლების შემუშავების პროცესში ტექნიკური დახმარების მიზნით

პროექტის ძირითადი სამუშაოებს წარმოადგენდა საოჯახო მედიცინაში გავრცელებული პრობლემების მართვის მიზნით კლინიკური რეკომენდაციების და სტანდარტების შემუშავება:

- ბრონქული ასთმის მართვა ზოგადსაექიმო პრაქტიკაში/საოჯახო მედიცინაში
- შაქრიანი დიაბეტის მართვა ზოგადსაექიმო პრაქტიკაში
- ინსულტის პრევენცია და მართვა ზოგადსაექიმო პრაქტიკაში
- ცხელება
- ზოგადსაექიმო პრაქტიკაში 65 წლის ზემოთ პირთა რეგულარული სამედიცინო მეთვალყურეობა
- ჯანმრთელ პირთა (15-65) და ახალი პაციენტების ჯანმრთელობის სამედიცინო მდგომარეობის შემოწმება
- გავრცელებული გადაუდებელი მდგომარეობების მართვა ზოგადსაექიმო პრაქტიკაში
- მეტაბოლური სინდრომის გამოვლენა და მართვა
- ოსტეოპოროზის პრევენცია ზოგადსაექიმო პრაქტიკაში
- გამონადენი საშოდან
- დემენციის გამოვლენა და მართვა ზოგადსაექიმო პრაქტიკაში
- კვებითი დარღვევების მართვა ზოგადსაექიმო პრაქტიკაში
- ყურის ტკივილი
- ჰიპოთირეოზის მართვა ზოგადსაექიმო პრაქტიკაში
- თავბრუსხვევა – დიაგნოსტიკა და მართვა ზოგადსაექიმო პრაქტიკაში
- გულ-მკერდის ტკივილის მართვა ზოგადსაექიმო პრაქტიკაში

- თემში (საზოგადოებაში) აღმოცენებული პნევმონიის მართვა ზოგადსაექიმო პრაქტიკაში
- ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების ადრეული დიაგნოსტიკა და მართვა ზოგადსაექიმო პრაქტიკაში
- მხრის მწვავე სიმპტომების მართვა ზოგადსაექიმო პრაქტიკაში
- მუხლის მწვავე სიმპტომების მართვა ზოგადსაექიმო პრაქტიკაში

28. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - ბრიტანეთის ჯანმრთელობისა და კლინიკური დახელოვნების ინსტიტუტთან (National Institute For Health and Clinical Excellence) თანამშრომლობის ფარგლებში 2009 – 2010 წლებში შესრულდა სამუშაო - „კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციების (გაიდლაინების) შემუშავების სახელმძღვანელო“ და „ინსულტის მართვის“ გაიდლაინი, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2003-2010 წლებში მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის დახმარებით შეიმუშავა **საქართველოში პირველადი ჯანდაცვის განვითარების გენერალური გეგმა,** რომელიც ემყარებოდა საოჯახო მედიცინაზე დაფუძნებული პირველადი ჯანდაცვის განვითარებას.

პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ფარგლებში, ასევე, განხორციელდა:

- **პირველ დონეზე სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის აუცილებელი ფიზიკური ინფრასტრუქტურის განახლება/განვითარება**

  პირველადი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე განხორციელებული ინვესტიციები:

  - 2006-2010 წლებში 700-ზე მეტი ობიექტის რეაბილიტაციასა და აღჭურვისათვის სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოიყო - 110 მლნ. ლარი (78 მლნ რეაბილიტაცია და 32 მლნ. აღჭურვა);
  - 2005-2006 წლებში გარემონტდა/აშენდა 165 პირველადი ჯანდაცვის ობიექტი (სოფლად - იმერეთში, აჭარაში, კახეთსა და შიდა ქართლში და საოჯახო მედიცინის ცენტრები საგარეჯოში, თელავში, ქუთაისში, ოზურგეთში, ბათუმში, ქობულეთში, მესტიაში, ბორჯომსა და თბილისში), განხორციელებული ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 21 მილიონი ლარი.

- **პროფესიული ადამიანური რესურსის და მომსახურების ხარისხის განვითარება პირველად ჯანდაცვაში**

პირველადი ჯანდაცვის განვითარების გენერალური გეგმის თანახმად, აღნიშნულ წლებში, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- სტრატეგიის თანახმად, საქართველოს პირველადი ჯანდაცვის საფუძველს წარმოადგენს საოჯახო მედიცინა - პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო მომსახურების მთავარი მიმწოდებელი ოჯახის ექიმია, რომელიც თანამშრომლობს პირველადი ჯანდაცვის გუნდის სხვა წევრებთან: ექთნებთან/მენეჯერებთან.

- სახელმწიფოსა და დონორული დახმარებით გადამზადებული იქნა 1800-ზე მეტი **საოჯახო მედიცინის გუნდი** (ექიმი/ექთანი/მენეჯერი).
- ადამიანური რესურსების განვითარება არ იფარგლებოდა მხოლოდ ტრენინგით, არამედ ორიენტირებული იყო მათი (ფინანსური და სხვა საშუალებებით) მოტივირებისა და უნარ-ჩვევების მუდმივი განახლების სისტემის შექმნაზეც (საქმიანობის შეფასება და კლინიკური ევალუაცია, გაიდლაინების/ხარისხის სტანდარტების შემუშავება/დანერგვა, უწყვეტი პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმების შედგენა/განხორციელება და ა.შ.).
- **პირველადი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსების მოდელის შექმნა**
  - პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების მოდელის განვითარება, საერთაშორისო პროექტების ფარგლებში შემუშავებული საქართველოს პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების გენერალური გეგმის შესაბამისად, საწყის ეტაპზე გულისხმობდა პირველადი ჯანდაცვის მოქნილი ბაზისური პაკეტის (BBP) შემუშავებას;
  - შემდეგ ეტაპებზე, სპეციალური მეთოდოლოგიის გამოყენებით, ჩამოყალიბდა პირველადი ჯანდაცვის მომსახურების გაანგარიშების მოდელი (სადაც გათვალისწინებული იყო ხარისხიანი მომსახურების მიწოდების მოტივაციის არსებობა, მომსახურების ადექვატური მოცულობა და მისი მიწოდების პირობები).

ამდენად, შეიქმნა საფუძვლები საოჯახო მედიცინაზე დაფუძნებული კარგი პირველადი ჯანდაცვის სისტემის სწორად განვითარებისათვის, რაც გულისხმობს:

- ხელმისაწვდომობას - ფინანსურად, გეოგრაფიულად
- ხარისხიან მომსახურებას (მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებსა და ინტეგრირებულ და ყოვლისმომცველ მომსახურების პაკეტს)
- პაციენტზე/თემზე ორიენტაციის პრინციპების დაცვას
- მომსახურების უწყვეტობას
- პაციენტის მაღალ კმაყოფილებას ამ მომსახურებით
- მაკოორდინირებელ ფუნქციას - სპეციალისტების სამსახურებთან რეფერალისა და უკურეფერალის სისტემის არსებობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირმა, 1999-2010 წლებში განახორციელა სხვადასხვა სასწავლო აქტივობები:

- 1999-2000 წლებში საერთაშორისო სამედიცინო კორპუსთან თანამშრომლობის ფარგლებში, შემუშავებული და განხორციელებული იქნა მოკლე ვადიანი, მოდულარული სასწავლო კურსები პირველადი ჯანდაცვის ექიმებისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში;
- 2000 წლიდან (დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის პროექტის "საქართველოში პირველადი ჯანდაცვის განვითარება ფარგლებში) წარმოებს პირველადი ჯანდაცვის ექთნებისა და მენეჯერების გადამზადების პროცესი (პროგრამების შემუშავება და ტრეინინგი), როგორც თბილისის, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონისათვის;
- 2000 წელს დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის ფინანსური ხელშეწყობით, შემუშავებული და განხორციელებული იქნა მოკლე ვადიანი, მოდულარული სასწავლო კურსები პირველადი ჯანდაცვის ექიმებისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (იმერეთი, გურია, აჭარა, სამეგრელო);
- 2000-2002 წლებში მილვოუკის ჯანმრთელობის საერთაშორისო ტრენინგის ცენტრთან თანამშრომლობის საფუძველზე, განხორციელდა “ოჯახის ექიმთა გადამზადების პროგრამა” (940 სთ-დამტკიცებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 103/0 ბრძანებით, 15 აპრილი 2002) მცხეთა-მთიანეთის რეგიონისათვის მცხეთის პირველადი ჯანდაცვის ცენტრში;
- 2002-2004 წწ ცენტრი მილვოუკის ჯანმრთელობის საერთაშორისო ტრენინგის ცენტრთან თანამშრომლობის საფუძველზე განხორციელდა დუშეთისა და მცხეთა-მთიანეთის მცხეთის პირველადი ჯანდაცვის რეგიონული სასწავლო ცენტრის მიერ “ოჯახის ექიმთა გადამზადების პროგრამის” განხორციელების სუპერვიზია;
- 2002-2003 წლებში, დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის პროექტის "საქართველოში პირველადი ჯანდაცვის განვითარება“ ფარგლებში, ხდებოდა იმერეთის, აჭარისა და შიდა ქართლის “ოჯახის ექიმთა გადამზადების პროგრამის” განხორციელების სუპერვიზია;
- 2002 წელს პროგრამა "უსაფრთხო დედობის ინიციატივა" ფარგლებში (საერთაშორისო ფონდი "კურაციო") ცენტრის მიერ მომზადდა სასწავლო პროგრამა (48 საათი) თემაზე "რეპროდუქციული ასაკის ქალთა ჯანმრთელობის დამკვიდრება" პირველადი ჯანდაცვის დონის ექიმებისათვის კახეთის რეგიონისათვის;
- 2003-2004 წწ შემუშავდა და დაინერგა უწყვეტი სამედიცინო განათლების აკრედიტირებული პროგრამები პირველადი ჯანდაცვის ექიმებისა და ოჯახის ექიმთა მასწავლებლებისათვის;

- 2003 წლის მაის-ივნისსა და დეკემბერში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით, განხორციელდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უწყვეტი სამედიცინო განათლების საბჭოს მიერ აკრედიტირებული პროგრამა (აკრედიტაციის ნომერი – 2003064) ,,გიდ-ის პრევენცია პირველად ჯანდაცვაში" (15 კრედიტ-საათი) სასწავლო პროგრამა გაიარა 262-მა მსმენელმა.
- 2003 წლის ნოემბერ-დეკემბერში ცენტრში ჩატარდა აკრედიტირებული სასწავლო პროგრამა (აკრედიტაციის ნომერი - 2003275) ,,მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინა ჯანდაცვის პროფესიონალების სწავლების პროცესში" 8 ციკლი;
- 2004 წლის ივნის-ივლისში კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, ჯავახეთისა და ისანი-სამგორის პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებელთათვის, ,,Mercy Corps”-ის ფინანსური მხარდაჭერით, შემუშავდა და განხორციელდა სასწავლო პროგრამა – ჯანმრთელობის მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე;
- 2004 წლის 29-30 აპრილს ჩატარდა სასწავლო პროგრამა ზუგდიდის რაიონის პირველადი ჯანდაცვის ექთნებისათვის თემაზე: პირველადი ჯანდაცვა, მისი როლი, ფუნქციები და მომავალი განვითარების პერსპექტივები;
- 2004 წლის 13-17 ივლისს საერთაშორისო ფონდ ,,კურაციოს” ფინანსური ხელშეწყობით, ჩატარდა სასწავლო პროგრამა ახალციხისა და თეთრიწყაროს რაიონებსა და რუსთავში პირველადი ჯანდაცვის ექიმებისა და ექთნებისათვის თემაზე: ხანდაზმულთა სამედიცინო მომსახურეობა პირველად ჯანდაცვაში.
- 2004 წელს წალკის პირველადი ჯანდაცვის ექიმთათვის ,,AIHA”-ს ფინანსური მხარდაჭერით შემუშავდა სასწავლო პროგრამა – გავრცელებული დაავადებების მართვა პირველად ჯანდაცვაში;
- 2004 წლის ივნისში საერთაშორისო ფონდ ,,კურაციოს” ფინანსური ხელშეწყობით ჩატარდა სასწავლო პროგრამა მარნეულსა და რუსთავში პირველადი ჯანდაცვის ექიმებისა და ექთნებისათვის თემაზე: ხანდაზმულთა სამედიცინო მომსახურეობა პირველად ჯანდაცვაში.
- 2005 წლის საოჯახო მედიცინის პერსონალისათვის აგვისტო-დეკემბერში ჩატარდა სპეციფიკური საგანმანათლებლო ინტერვენციები – ტრენინგები (ექიმებისათვის, ექთნებისათვის, მულტიდისციპლინარული) პროფესიონალების შეფასებისა და მათი სასწავლო საჭიროებების განსაზღვრის საფუძველზე.
- 2005 წელს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელ ცენტრის დაფინანსებით (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 13 მაისის ბრძანების (¹129/ო ,,პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ფარგლებში საოჯახო მედიცინის მოდელისათვის ადამიანური რესურსების პროფესიული მზადების უზრუნველყოფის შესახებ”) და დიპლომისშემდგომი და უწყვეტი სამედიცინო

განათლების საბჭოს მიერ 2005 წლის 11 მაისს აკრედიტებული ,,მომიჯნავე სპეციალობების ექიმების ოჯახის ექიმად გადამზადების სასწავლო პროგრამის" ფარგლებში, გადამზადდა აჭარისა და იმერეთის რეგიონების სამედიცინო პერსონალი.

- 2005-2006 წლებში ევროკომისიის დაფინანსებითა (TASIS/2005/104809; განმახორციელებელ ცენტრი - HLSP Limited 5-23 Old street, London EC1V 9HL, UK, REG.N03208454; VAT nr GB523765636) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 13 მაისის ბრძანების (¹129/ო ,,პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ფარგლებში საოჯახო მედიცინის მოდელისათვის ადამიანური რესურსების პროფესიული მზადების უზრუნველყოფის შესახებ") და დიპლომისშემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლების საბჭოს მიერ 2005 წლის 11 მაისს აკრედიტებული ,,მომიჯნავე სპეციალობების ექიმების ოჯახის ექიმად გადამზადების სასწავლო პროგრამის" ფარგლებში, მოხდა კახეთის რეგიონის სამედიცინო პერსონალის გადამზადება;
- 2006 წელს მომზადდა პროგრამა ,,პედაგოგიური ჩვევები - სწავლა და სწავლება ზოგადსაექიმო პრაქტიკაში" – სასწავლო მოდული ოჯახის ექიმებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნებისათვის და მასწავლებლებისათვის, რომელიც აკრედიტებულია 16 ივნისს და დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ (აკრედიტაციის ნომერი – 2006120; 16.06.2006), მიენიჭა 50 კრედიტ-ქულა; აღნიშნული პროგრამის დანერგვა დაიწყო ევროკომისიის დაფინანსებით;
- 2006 წელს მომზადდა პროგრამა ,,საოჯახო მედიცინის პრაქტიკის ორგანიზაცია და მართვა", რომელიც, აგრეთვე, აკრედიტებულია 16 ივნისს და დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ (აკრედიტაციის ნომერი – 2006119**;** 16.06.2006), მიენიჭა 40 კრედიტ-ქულა; აღნიშნული პროგრამის დანერგვა დაიწყო 5 ივნისიდან, ევროკომისიის დაფინანსებით (350 ექიმი, ექთანი და ჯანდაცვის სხვა პროფესიონალები).
- 2006 წელს ევროკომისიის დაფინანსებით (TASIS/2005/104809; განმახორციელებელ ცენტრი - HLSPLimited 5-23 Old street, London EC1V 9HL, UK, REG.N03208454; VAT nr GB523765636) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 13 მაისის ბრძანების (¹129/ო ,,პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ფარგლებში საოჯახო მედიცინის მოდელისათვის ადამიანური რესურსების პროფესიული მზადების უზრუნველყოფის შესახებ") და დიპლომისშემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლების საბჭოს მიერ 2005 წლის 11 მაისს აკრედიტებული ,,მომიჯნავე სპეციალობების ექიმების ოჯახის ექიმად გადამზადების სასწავლო პროგრამის" ფარგლებში, გადამზადება გაიარა კახეთის რეგიონის ექიმი/ექთნის გუნდებმა;

- 2006 წელს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელ ცენტრის დაფინანსებით ,,პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ფარგლებში" ცენტრში გადამზადება გაიარა აჭარის, შიდა ქართლისა და იმერეთის რეგიონების ექიმი/ექთნის გუნდებმა.
- 2006 წელს პროგრამის ,,პედაგოგიური ჩვევები - სწავლა და სწავლება ზოგადსაექიმო პრაქტიკაში – სასწავლო მოდული ოჯახის ექიმებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნებისათვის და მასწავლებლებისათვის" ფარგლებში, (აკრედიტაციის ნომერი – 2006120; 16.06.2006), მომზადდა 63 ექიმი-მასწავლებელი და ექთან-მასწავლებელი;
- 2006 წელს მომზადებული პროგრამის ,,საოჯახო მედიცინის პრაქტიკის ორგანიზაცია და მართვა" ფარგლებში (აკრედიტაციის ნომერი – 2006119; 16.06.2006), მომზადება გაიარა 475 ექიმმა, ექთანმა და ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებმა).
- ევროკომისიის პროექტის (TASIS/2005/104809) განმახორციელებელ ცენტრის დაფინანსებით (HLSP limited 5-23 Old Street, London EC1V 9HL, UK, Reg.N03208454; VAT nr GB523765636) 78 ექიმმა კახეთის რეგიონიდან გაიარა კურსი ,,გიდ-ის პრევენცია პირველად ჯანდაცვაში" (15 კრედიტ-საათი), რომელიც განხორციელდა დიპლომისშემდგომი განათლებისა (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებული პროგრამის (აკრედიტაცია [1]№2003064 – 15 უპგ ქულა) ფარგლებში.
- ევროკომისიის პროექტის (TASIS/2005/104809) განმახორციელებელ ცენტრის დაფინანსებით (HLSP limited 5-23 Old Street, London EC1V 9HL, UK, Reg.N03208454; VAT nr GB523765636) 78 ექიმმა კახეთის რეგიონიდან გაიარა კურსი ,,მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინა ჯანდაცვის პროფესიონალების სწავლების პროცესში", რომელიც განხორციელდა დიპლომისშემდგომი განათლებისა (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებული პროგრამის (აკრედიტაცია – №2003275, 10 კრედიტ-საათი) ფარგლებში.
- 2007 წელს მოხდა პროგრამის ,,პედაგოგიური ჩვევები - სწავლა და სწავლება ზოგადსაექიმო პრაქტიკაში – სასწავლო მოდული ოჯახის ექიმებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნებისათვის და მასწავლებლებისათვის" დანერგვა, (აკრედიტაცია – **№**2006120; 16.06.2006), მომზადება 14-მა, უკვე ფუნქციონირებადმა, ოჯახის ექიმ-მასწავლებელმა და ექთან-მასწავლებელმა.
- 2007 წლის აპრილში მომზადდა 13 ოჯახის ექიმის მასწავლებელი და 8 ზოგადი პრატიკის ექთან-მასწავლებელი ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფის დაფინანსებით პროგრამის ,,პედაგოგიური ჩვევები - სწავლა და სწავლება ზოგადსაექიმო პრაქტიკაში" – სასწავლო მოდული ოჯახის ექიმებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნებისათვის და მასწავლებლებისათვის" ფარგლებში, (აკრედიტაცია – **№**2006120 - 16.06.2006).

- 2007 წლის მაის-ოქტომბერში ევროკომისიის პროექტის (TASIS/2005/104809) განმახორციელებელ ცენტრის (HLSP limited 5-23 Old Street, London EC1V 9HL, UK, Reg.N03208454; VAT nr GB523765636) დაფინანსებით საგარეჯოსა და თბილისში გადამზადება გაიარა 20 ოჯახის ექიმმა და 20 ექთანმა კახეთის რეგიონიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებისა (№133/ო ,,პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ფარგლებში საოჯახო მედიცინის მოდელისათვის ადამიანური რესურსების პროფესიული მზადების უზრუნველყოფის შესახებ”) და დიპლომისშემდგომი განათლებისა (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 2006 წლის 16 ივნისს აკრედიტებული ,,მომიჯნავე სპეციალობების ექიმების ოჯახის ექიმად გადამზადების სასწავლო პროგრამის” ფარგლებში.
- 2007 წლის მაისში მომზადდა 21 ოჯახის ექიმის მასწავლებელი და ზოგადი პრატიკის ექთან-მასწავლებელი ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფის დაფინანსებით პროგრამის ,,პედაგოგიური ჩვევები - სწავლა და სწავლება ზოგადსაექიმო პრაქტიკაში“ – სასწავლო მოდული ოჯახის ექიმებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნებისათვის და მასწავლებლებისათვის“ ფარგლებში, (აკრედიტაცია – **№**2006120 - 16.06.2006).
- 2007 წლის ივნის-დეკემბერში სსიპ ,,საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის დაფინანსებით განხორციელდა 33 ექიმისა და 45 ექთნის გადამზადება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებისა (№133/ო ,,პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ფარგლებში საოჯახო მედიცინის მოდელისათვის ადამიანური რესურსების პროფესიული მზადების უზრუნველყოფის შესახებ”) და დიპლომისშემდგომი განათლებისა (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 2006 წლის 16 ივნისს აკრედიტებული ,,მომიჯნავე სპეციალობების ექიმების ოჯახის ექიმად გადამზადების სასწავლო პროგრამის” ფარგლებში.
- 2007 - 2008 წწ-ში ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფის დაფინანსებით გადამზადდა 12 ზოგადი პრაქტიკის ექთანი, რომელიც განხორციელდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №129/ო ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადი პრაქტიკის ექთნების მომზადების სასწავლო პროგრამის” ფარგლებში.
- 2007 - 2008 წწ-ში დიპლომისშემდგომი განათლებისა (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 2006 წლის 16 ივნისს აკრედიტებული ,,მომიჯნავე სპეციალობების ექიმების ოჯახის ექიმად გადამზადების სასწავლო პროგრამის” ფარგლებში თვითდაფინანსებით გადამზადდა თბილისის ცენტრში მომუშავე ოჯახის ექიმები.

- 2007 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მომზადდა 21 ოჯახის ექიმის მასწავლებელი და ზოგადი პრატიკის ექთან-მასწავლებელი ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფის დაფინანსებით პროგრამის ,,პედაგოგიური ჩვევები - სწავლა და სწავლება ზოგადსაექიმო პრაქტიკაში“ – სასწავლო მოდული ოჯახის ექიმებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნებისათვის და მასწავლებლებისათვის“ ფარგლებში, (აკრედიტაცია – **№**2006120 - 16.06.2006).
- 2007 წლის ნოემბერში თვითდაფინანსებით მომზადდა 7 ოჯახის ექიმის მასწავლებელი და ზოგადი პრაქტიკის ექთან-მასწავლებელი პროგრამის ,,პედაგოგიური ჩვევები - სწავლა და სწავლება ზოგადსაექიმო პრაქტიკაში“ – სასწავლო მოდული ოჯახის ექიმებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნებისათვის და მასწავლებლებისათვის“ ფარგლებში, (აკრედიტაცია – **№**2006120 - 16.06.2006).
- 2008 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს შრომის, ãჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №129/ო ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადი პრაქტიკის ექთნების მომზადების სასწავლო პროგრამის მენეჯმენტის კურსი გაიარა შპს საოჯახო მედიცის ეროვნული სასწავლო ცენტრის 20 ზოგადი პრაქტიკის ექთანმა.
- 2008 წლის იანვარ-თებერვალში მომზადდა 21 ოჯახის ექიმის მასწავლებელი და ზოგადი პრატიკის ექთან-მასწავლებელი ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფის დაფინანსებით პროგრამის ,,პედაგოგიური ჩვევები - სწავლა და სწავლება ზოგადსაექიმო პრაქტიკაში“ – სასწავლო მოდული ოჯახის ექიმებისა და ზოგადი პრაქტიკის ექთნებისათვის და მასწავლებლებისათვის“ ფარგლებში, (აკრედიტაცია – **№**2006120 - 16.06.2006).
- 2008 წლის ივნისში შპს ,,თბილისის №2 საოჯახო მედიცინის ცენტრისა“ და შპს ,,№16 ბავშვთა პოლიკლინიკის“ დაფინანსებით განხორციელდა დიპლომისშემდგომი განათლებისა (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ (ოქმი #3; 2006120 – 50 უპგ ქულა) 2006 წლის 16 ივნისს აკრედიტებული პროგრამა ,,პედაგოგიური ჩვევები: სწავლა და სწავლება ზოგად საექიმო პრაქტიკაში” ფარგლებში, მომზადდა 7 ოჯახის ექიმის/ზპ ექთნის მასწავლებელი.
- 2008 წლის სექტემბერში შპს ,,თბილისის №3 საოჯახო მედიცინის ცენტრისა“ და შპს ,,№30 შერეული პოლიკლინიკა - საოჯახო მედიცინის სასწავლო კლინიკური ცენტრის“ დაფინანსებით განხორციელდა დიპლომისშემდგომი განათლებისა (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ (ოქმი #3; 2006120 – 50 უპგ ქულა) 2006 წლის 16 ივნისს აკრედიტებული პროგრამა ,,პედაგოგიური ჩვევები: სწავლა და სწავლება ზოგად საექიმო პრაქტიკაში” ფარგლებში, მომზადდა 9 ოჯახის ექიმის მასწავლებელი.
- 2008-2009 წწ სსიპ ,,საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის დაფინანსებით (2008 წლის 21 ნოემბერი №EU/IS/T-01/09) განხორციელდა 72 ექიმისა გადამზადება დიპლომისშემდგომი

განათლებისა (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 2006 წლის 16 ივნისს აკრედიტებული ,,მომიჯნავე სპეციალობების ექიმების ოჯახის ექიმად გადამზადების სასწავლო პროგრამის" ფარგლებში.

- 2008-2009 წწ სსიპ ,,საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის დაფინანსებით (2008 წლის 21 ნოემბერი №EU/IS/T-01/10) განხორციელდა 72 ექთნის გადამზადება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებისა (№133/ო ,,პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ფარგლებში საოჯახო მედიცინის მოდელისათვის ადამიანური რესურსების პროფესიული მზადების უზრუნველყოფის შესახებ").
- 2009 წლის ოქტომბრიდან განხორციელდა 24 ექიმისა და 24 ექთნის (დაფინანსებული «ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტის» კრედიტი №3702-GE კონტრაქტი) გადამზადება სსიპ ,,საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის დაფინანსებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებისა (№133/ო ,,პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ფარგლებში საოჯახო მედიცინის მოდელისათვის ადამიანური რესურსების პროფესიული მზადების უზრუნველყოფის შესახებ") და დიპლომისშემდგომი განათლებისა (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 2006 წლის 16 ივნისს აკრედიტებული ,,მომიჯნავე სპეციალობების ექიმების ოჯახის ექიმად გადამზადების სასწავლო პროგრამის" ფარგლებში.
- 2008-2009 წწ სსიპ ,,საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის დაფინანსებით განხორციელდა 72 ექიმისა გადამზადება დიპლომისშემდგომი განათლებისა (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 2006 წლის 16 ივნისს აკრედიტებული ,,მომიჯნავე სპეციალობების ექიმების ოჯახის ექიმად გადამზადების სასწავლო პროგრამის" ფარგლებში.
- 2008-2009 წწ სსიპ ,,საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის დაფინანსებით განხორციელდა 72 ექთნის გადამზადება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებისა (№133/ო ,,პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ფარგლებში საოჯახო მედიცინის მოდელისათვის ადამიანური რესურსების პროფესიული მზადების უზრუნველყოფის შესახებ").
- 2009-2010 წწ განხორციელდა 60 ექიმისა და 58 ექთნის გადამზადება სსიპ ,,საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის დაფინანსებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებისა (№133/ო

,,პირველადი ãჯანდაცვის სისტემის რეფორმის ფარგლებში საოჯახო მედიცინის მოდელისათვის ადამიანური რესურსების პროფესიული მზადების უზრუნველყოფის შესახებ”) და დიპლომისშემდგომი განათლებისა (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 2006 წლის 16 ივნისს აკრედიტებული ,,მომიჯნავე სპეციალობების ექიმების ოჯახის ექიმად გადამზადების სასწავლო პროგრამის” ფარგლებში.

- 2009-2010 წწ სსიპ ,,საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელ ცენტრის“ დაფინანსებით განხორციელდა ინტელექტუალური მომსახურება ევროკავშირის გრანტით (#TACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდამჭერი პროექტის“ ფარგლებში. *პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო დაწესებულებებისათვის გადამზადდა 44 ოჯახის ექიმი*.
- 1999-2010 წწ განხორციელდა საოჯახო მედიცინის კურსი თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.
- 2010-2011 წლებში თვითდაფინანსების საფუძველზე დიპლომისშემდგომი განათლებისა (პროფესიული მზადების) და უწყვეტი პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 2006 წლის 16 ივნისს აკრედიტებული ,,მომიჯნავე სპეციალობების ექიმების ოჯახის ექიმად გადამზადების სასწავლო პროგრამის” მიხედვით - განხორციელდა 30 ოჯახის ექიმის გადამზადება.
- სსიპ ,,საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის დაფინანსებით და ევროკავშირის გრანტით (#TACIS/2007/147562 დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდამჭერი პროექტის“ ფარგლებში) *პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო დაწესებულებებისათვის სამედიცინო პერსონალის ოჯახის ექიმებად რუსულ ენაზე გადამზადების უზრუნველყოფისათვის* - გადამზადდა რუსულენოვანი ოჯახის ექიმები/ექთნები.
- სსიპ ,,საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის დაფინანსებით 2010 წელს (დაფინანსებული «ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტის» კრედიტი №3702-GE კონტრაქტი) განხორციელდა *პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო დაწესებულებებისათვის სამედიცინო პერსონალის ოჯახის ექიმებად გადამზადება*
- სსიპ ,,საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის დაფინანსებით (დაფინანსებული «ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროექტის» კრედიტი №3702-GE კონტრაქტი) განხორციელდა *პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო დაწესებულებებისათვის სამედიცინო პერსონალის ზოგადი პრაქტიკის ექთნებად გადამზადება*

- 2000-2010 წლებში, განხორციელდა სამედიცინო პერსონალის - ექიმი/ექთანი და პჯდ მენეჯერების გადამზადება საოჯახო მედიცინაში, ზოგადსაექიმო პრაქტიკის ორგანიზაციასა და მართვაში (თვით/დაწესებულების დაფინანსებით)
- 2005-2010 წწ ახორციელებს გადამზადებული ოჯახის ექიმებისა და ექთნების კლინიკური პრაქტიკის შეფასებებს და განმეორებით შეფასებებს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში სხვადასხვა დონორული და სახელმწიფო დაფინანსებით.
- 2009-2010 წლებში ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით, საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირთან“ მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავდა ორმოცზე მეტი დასახელების გაიდლაინი და პროტოკოლი, რომელიც პირველადი ჯანდაცვის დონეზე განსაკუთრებით გავრცელებული პრობლემების მართვას შეეხება და და დამტკიცებულია კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების(პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის საბჭოს მიერ.